ალექსანდრიის ბიბლიოთეკა

გსმენია რამე ძველი ბიბლიოთეკების შესახებ? წაიკითხე ტექსტი და გაიგებ, სად მდებარეობდა ერთ-ერთი მათგანი.

2400 წლის წინ ეგვიპტეში მეფობდა პტოლემე II. პტოლემე მეფეს ძალიან უყვარდა წიგნები და დიდ დროს უთმობდა კითხვას. მისი სურვილით ალექსანდრიაში ააგეს დიდი ბიბლიოთეკა. ზუსტად არავინ იცის, რამდენი წიგნი იყო ალექსანდრიის ბიბლიოთეკის საცავში. მეცნიერთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ იქ 700 ათასზე მეტი **პაპირუსის გრაგნილი** ინახებოდა. ზოგი კი ნაკლებ ციფრს, 50 ათასს, ასახელებს. თუმცა ყველა თანხმდება, რომ ეს ბიბლიოთეკა წიგნების უდიდესი საცავი იყო ძველ მსოფლიოში. მასზე თვით ეგვიპტის მეფეები ზრუნავდნენ. ისინი ეძებდნენ სხვადასხვა გზას, რომ რაც შეიძლება მეტი წიგნით შეევსოთ ბიბლიოთეკა. ამ მიზნით მეფის ბრძანებით გემებსაც კი **ჩხრეკდნენ**. ნაპოვნ ხელნაწერს თვითონ იტოვებდნენ. პატრონს მხოლოდ გადაწერილ ვარიანტს უბრუნებდნენ.

ცნობილია, რომ ეს უძველესი ბიბლიოთეკა მხოლოდ წიგნების საცავი არ ყოფილა. აქ არაერთი **სწავლული** მუშაობდა. ისინი არა მატო **კვლევებს** ატარებდნენ, არამედ თავიანთ ცოდნას სხვებს გადასცემდნენ. ფიქრობენ, რომ საცავს წიგნების გადამწერებიც უნდა ჰყოლოდა.

ბიბლიოთეკის დაარსებიდან თითქმის სამასი წელი იყო გასული, როცა ეგვიპტეში იულიუს კეისარმა ილაშქრა. მან ქალაქი გადაწვა. ვარაუდობენ, რომ ხანძრის დროს წიგნების მხოლოდ მცირე ნაწილი გადარჩა. ასი წლის შემდეგ შენობა აღადგინეს და წიგნებით ისევ შეავსეს. ამაში მონაწილეობა თვით რომაელმა სამხედრო მოღვაწე მარკუს ავრელიუსმა მიიღო.

მომდევნო წლებში მტრებმა ბიბლიოთეკა კიდევ ბევრჯერ დაანგრიეს. თუმცა უფრო მეტად საზიანო აღმოჩნდა ეგვიპტელ დიდებულებს შორის არსებული **შუღლი**. იგი ხშირად შინაური ომებით სრულდებოდა. ვარაუდობენ, რომ ბიბლიოთეკას **განგებ** მტრობდნენ კიდეც, რადგან იქ ბევრი საიდუმლო მასალა ინახებოდა.

2002 წელს ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ადგილას ახალი ააშენეს. ძველის აღდგენა შეუძლებელი გახდა. არავინ იცის, როგორი იყო ის მრავალი საუკუნის წინ. ახალი უზარმაზარი შენობა დაქანებულ დოლს ჰგავს. სახურავი მინისა და ალუმინისაა. როცა სახურავზე მზის სხივები ირეკლება, შორიდან შენობა მზეს ჰგავს. **კომფორტულ** შენობაში თაროების რაოდენობა გათვლილია 8 მილიონ წიგნზე. ამჟამად იქ მხოლოდ 400 ათასამდე წიგნი ინახება.

შენი აზრით, რა დაკარგა მსოფლიომ ალექსანდრიის ბიბლიოთეკის განადგურებით?

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რომელი წინადადება გადმოსცემს ფაქტს?

ა) ცნობილია, რომ ალექსანდრიის ბიბლიოთეკა უდიდესი იყო ძველ მსოფლიოში.

ბ) ალექსანდრიის ბიბლიოთეკას, სავარაუდოდ, წიგნების გადამწერებიც ეყოლებოდა.

გ) ფიქრობენ, რომ ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში მხოლოდ 50 ათასი წიგნი იყო.

2 რომელი წინადადება გადმოსცემს მოსაზრებას?

ა) ბიბლიოთეკის ნაწილი იულიუს კეისრის ლაშქრობის დროს დაიწვა.

ბ) ბიბლიოთეკის საცავის გამდიდრებაზე ეგვიპტის მეფეები ზრუნავდნენ.

გ) ბიბლიოთეკის საცავში, ალბათ, 700 ათასი წიგნი მაინც ინახებოდა.

3 ტექსტში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, თუ:

ა) ვინ იზრუნა გადამწვარი ბიბლიოთეკის წიგნებით შევსებაზე.

ბ) რა მიზეზით შეიძლებოდა განგებ ემტროთ ბიბლიოთეკისთვის.

გ) რას საქმიანობდნენ სწავლულები ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში.

4 ტექსტის მიხედვით, რამ უფრო მეტად დააზარალა ეგვიპტის ბიბლიოთეკა?

ა) არაბთა შემოსევამ. ბ) იულიუსის ლაშქრობამ. გ) შინაურმა ომებმა.

5 ტექსტში *<u>არ ჩანს</u>:*

ა) რა მიზეზით განადგურდა ბიბლიოთეკის შენობა.

ბ) როგორია ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ახალი შენობა.

გ) რომელი ძველი წიგნები ინახება ახალ ბიბლიოთეკაში.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. მეფის ბრძანებით **ჩხრეკდნენ** გემებს.
   ა) ამოწმებდნენ. ბ) აჩერებდნენ. გ) იცავდნენ.
2. ბიბლიოთეკაში ბევრი **სწავლული** მუშაობდა.
   ა) გადამწერი. ბ) დიდებული. გ) მეცნიერი.
3. დიდებულებს შორის არსებული **შუღლი** საზიანო იყო ბიბლიოთეკისთვის.
   ა) მტრობა. ბ) უნდობლობა. გ) შური.
4. ზოგჯერ ბიბლიოთეკას **განგებ** მტრობდნენ.
   ა) განზრახ. ბ) იძულებით. გ) უნებურად.
5. ბიბლიოთეკის **კომფორტულ** შენობაში უამრავი წიგნი ინახება.
   ა) თანამედროვე. ბ) კეთილმოწყობილ. გ) უზარმაზარ.

2 რომელი სიტყვაა გამოტოვებული წინადადებაში?

ბიბლიოთეკა 2400 წლის ---------- დაარსდა.

ა) განმავლობაში. ბ) უკან. გ) წინ.

3 წაიკითხე წინადადებები. შეაერთე ხაზებით ქვემოთ ჩამოთვლილი სიტყვები და მათი მნიშვნელობები.

1. ძველად **პაპირუსზე** წერდნენ.
2. ბიბლიოთეკაში პაპირუსის უამრავი **გრაგნილი** ინახებოდა.
3. სწავლულები აქ საინტერესო **კვლებებს** ატარებდნენ.

გრაგნილი — მეცნიერულად რაღაცის შესწავლა.

პაპირუსი — მილისებურად დახვეული ძველი ხელნაწერი წიგნი.

კვლევა — ლერწმის (მცენარეა) ღეროსაგან დამზადებული საწერი მასალა.

4 რომელია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები)?

ა) დარბევა – შენება. ბ) ომი – მშვიდობა. გ) შუღლი – მტრობა.

გრამატიკა

1 დაწერე გამოტოვებული სიტყვები სწორი ფორმით.

1. *(ალექსანდრია)* ---------- შესახებ არსებობს საინტერესო ცნობები.
2. მეფის ბრძანებით *(ნაპოვნი)* ---------- ხელნაწერს თვითონ იტოვებდნენ.

2 ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები დაწერე <u>თანდებულიანი</u> ფორმით.

1. *(დაარსება)* ---------- სამასი წლის შემდეგ ბიბლიოთეკა დაიწვა.
2. ახალ ბიბლიოთეკაში ჯერ მხოლოდ 400 *(ათასი)* ---------- წიგნია.

3 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. ისინი ---------- ცოდნას ახალგაზრდებს გადასცემდნენ. ***(თავის / თავიანთ)***
2. ბიბლიოთეკას მტრობდნენ, ---------- იქ ბევრი საიდუმლო მასალა ინახებოდა. ***(რადგან / რათა)***
3. ბიბლიოთეკაში არაერთი ---------- მუშაობდა. ***(სწავლული / სწავლულები)***

წერა

1 ამოწერტე ტექსტიდან ფაქტები და მოსაზრებები.

ფაქტები	*მოსაზრებები*
1. ბიბლიოთეკა დაარსდა 2400 წლის წინ.	1. ბიბლიოთეკაში 700 000-ამდე წიგნი ინახებოდა.
----------	----------
----------	----------
----------	----------
----------	----------

2 სარგებლობ ბიბლიოთეკით? აღწერე შენი სკოლის ან რომელიმე სხვა ბიბლიოთეკა. გამოთქვი მოსაზრებები ამ ბიბლიოთეკის შესახებ. გააფორმე შენი ნაწერი ნახატებით.